

კომერციული საიდუმლოების სტანდარტი საქართველოში

დავით ალიევ

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო
სამართლისა და პოლიტიკის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ ურიადმყოფელი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავიდ ალიევ

2025 წლის 23 ივნისი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში კრიტიკულად გაანალიზებულია საქართველოში არსებული კომერციული საიდუმლოების სტანდარტი, რამდენად სათანადოდ იცავს საქართველოს კანონმდებლობა კომერციულ საიდუმლოებას იმ მომენტში, როდესაც ის სახელმწიფოს ხელში მოხვდება, რა გამოწვევების წინაშე დგას კომერციული საიდუმლოების მფლობელი, რამდენად გამოიყენება კომერციულ საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევის არსებული ინსტრუმენტი, აქვს თუ არა საქართველოს კანონმდებლობას ხარვეზები და რამდენად შეესაბამება ის ევროკავშირის სტანდარტს (საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულებიდან გამომდინარე).

კვლევამ გამოავლინა არაერთი პრობლემა კომერციული საიდუმლოების სტანდარტთან დაკავშირებით. პირველ რიგში, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული კომერციული საიდუმლოების განმარტება მოძველებულია და არ შეესაბამება არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, მათ შორის არც ევროკავშირის შესაბამის მოწესრიგებას. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის არსებული პროცედურა რამდენიმე თვალსაზრისით არის პრობლემატური, პირველ რიგში, კომერციული საიდუმლოების მფლობელს მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის მომენტში გააჩნია შესაძლებლობა მოითხოვოს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა, შესაბამისად შეზღუდული აქვს შესაძლებლობა ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ამგვარი მიმართვა. ამასთანავე, საჯარო დაწესებულებებს არ აქვთ უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით მიიჩნიონ ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებად, რაც რიგ შემთხვევებში შეიძლება ქმნიდეს პრობლემას, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება უცხოელ კონტრაქტებთან სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების დადებას, ან იმგვარ შემთხვევებს, როდესაც კომერციული საიდუმლოების მფლობელმა არ მიუთითა ინფორმაციის კომერციულ ბუნებაზე, თუმცა მისი ამგვარი ხასიათი აშკარაა და მისი გამჟღავნებით შესაძლებელია კომერციული საიდუმლოების მფლობელს მიადგეს მნიშვნელოვანი ზიანი.

აგრეთვე, გამოვლინდა პრობლემა მეორე მხარესაც, საქართველოს სტანდარტი არ იძლეოდა ინფორმაციის კომერციული საიდუმლოების არმიჩნევის საფუძვლების შესახებ მკაფიო ჩანაწერს, იმ პირობებში, როდესაც შესაძლებელია არსებობდეს ინფორმაციის ღიაობის აუცილებლობა მისი კომერციული საიდუმლოების ბუნების მიუხედავად.

წინამდებარე ნაშრომი შედგენილია შედარებითსამართლებრივი კვლევისათვის დამახასიათებელი მეთოდით, მათ შორის ანალიტიკური კვლევისა და ისტორიული მეთოდებით. ასევე კვლევაში გამოყენებულია არადოქტრინალური კვლევის ელემენტებიც, რომელიც გამოყენებულ იქნა საქართველოში და სხვა იურისდიქციებში არსებულ სტანდარტების ფარგლებში სუბიექტების რეაგირების შესაფასებლად.

როგორც აღვნიშნეთ, კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ევროკავშირის სამართალთან ჰარმონიზაცია, რომლის მიზნითაც გაანალიზებულ იქნა ევროკავშირის შესაბამისი დირექტივა, რომელიც ეხება კომერციულ საიდუმლოებას, მის მიხედვით დაკორექტირდა კომერციული საიდუმლოების ცნება.

კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში არსებული სტანდარტი იყო შესაბამისი ამერიკის შეერთებული შტატების სტანდარტისა იმ მომენტში, როდესაც იქმნებოდა კანონმდებლობა, თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიცვალა სტანდარტი, ხოლო საქართველოში დარჩა ის სტანდარტი, რომელიც ნაწილობრივ უარყოფილ იქნა (კომერციული საიდუმლოების განმარტების ნაწილში), შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს კანონმდებლობაც ამ ნაწილში საჭიროებდა მოდერნიზაციას.

კვლევის შედეგად იქნა შეთავაზებული კომერციული საიდუმლოების მარეგულირებელი დებულებების ახალი რედაქცია, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას, აგრეთვე მასში აღმოფხვრილია ის პრობლემები, რაც გამოვლინდა საქართველოს სტანდარტის კრიტიკული ანალიზის დროს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კომერციული საიდუმლოება, ინფორმაციის თავისუფლება.

Abstract

The aforementioned thesis critically analyses the standard of the commercial secret in light of the legislation of Georgia, how it is protected when it falls into the hands of the state, what challenges the commercial secret holders face, how widely the existing instrument of considering information as a commercial secret is used, whether Georgian legislation has any gaps, and how well it complies with the EU standard (given the obligation of Georgia to harmonize with EU legislation).

The research revealed a few issues related to the commercial secret standard. First things first, the definition of the commercial secret in the General Administrative Code of Georgia is a bit outdated and doesn't comply with the current best practice, nor current EU regulations. The procedure for identifying information as a commercial secret is problematic in several aspects. First, the commercial secret holder has the opportunity to request that information be considered a commercial secret solely when the disclosure of the information happens, meaning that the commercial secret holder has limited ability to make such an appeal at any other stage. Also, public institutions are not granted the authority to consider the information as a commercial secret on their own initiative, which may create issues in some cases, for example, when it comes to concluding agreements with foreign contractors by the government, or in cases when the commercial secret holders haven't specified the commercial nature of the information. Even though the commercial nature of the information might be obvious, its disclosure may cause significant harm to the commercial secret holder.

Also, the issue was identified on the other side, when the Georgian standard did not provide a clear specification for not considering information as a commercial secret, even in circumstances where there may be an urgency for its openness regardless of its commercial secret nature.

The thesis is prepared using methods typical of comparative legal research, including analytical and historical methods. The thesis also uses elements of non-doctrinal research, which

were used to assess the responses of subjects within the framework of existing standards in Georgia and other jurisdictions.

As mentioned above, one of the goals of the study was harmonization with EU legislation, for which the relevant EU directives on commercial secrets were analyzed, based on which the concept of the commercial secret was adjusted accordingly.

The research revealed that the current standard of Georgian legislation for commercial secrets was aligned with the US standard at the time the legislation was being developed. However, the US standard has changed since then, while the standard in Georgia has remained the same, which is already partly rejected by US legislation (in the section on the definition of the commercial secret), meaning that the Georgian legislation and standard for commercial secrets also require some modernization.

As a result of the study, a new version of the provisions regulating commercial secrets was proposed, that aligns with EU legislation and eliminates the issues identified during the critical analysis of the Georgian standard.

Key Words: Trade secret, freedom of information.